პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების
პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

13/05/2024

MES 2 24 0000514038

ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „ჯომარდობის გამყოლი“ პროფესიული გადამზადების
პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით
ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და ,,ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის
პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“
პროფესიულ მომზადების/გადამზადების პროგრამის
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 24 აგვისტოს №1031398
გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ

იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, საბჭოს აპარატის დასკვნის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლაში (ს/კ: 429322985) „ჯომარდობის გამყოლის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს ,,ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 24 აგვისტოს №1031398 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი)**
.

3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 13 მაისის №509696 ოქმის მეექვსე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

ნ. ბაბალ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

ელექტრონული
ფორმატი
ეროვნული

დანართი

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01659	ჯომარდობის გამყოლი	გადამზადება	მეხუთე	3	ქართული	10	მდინარე რიონი (ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ალპანა); მდინარე რიონი (სოფ. ზოგიშის მიმდებარედ); მდინარე ხობის წყალი (სოფ. მუხურის მიმდებარედ)